



2025 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 63 (სამოცდასამი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 40 (ორმოცი) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია, 20 (ოცი) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 2 (ორი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას იყენებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საგადასახადო კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 3 (სამი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამივე (3) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.





საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 7 (შვიდი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 4 (ოთხი) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 3 (სამი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უწყების გადაწყვეტილება მომთხოვნი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 126 (ას ოცდაექვსი) განცხადება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 125 (ას ოცდახუთი) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 3 (სამი) განცხადება. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამივე (3) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკური სამსახური

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1 (ერთი) განცხადება. სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1029 (ათას ოცდაცხრა) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 677 (ექვსას სამოცდაჩვიდმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია,





ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 212 (ორას თორმეტი) განცხადება, ხოლო 140 (ას ორმოცი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ დავით გამყრელიძე - სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური);
- ✓ ნინო დემურაძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური);
- ✓ მერაბ გამყრელიძე - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ომარ ოქროპირიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია);
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).

